| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ნაკვესი

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება

გორში — ს. მგალობლიშვილთან. ‖ ხონში — ნ. წერეთლის მაღაზიაში.
ქუთაისს — ვ. ჭილაძის მაღაზიაში. ‖ ბათუმში — მ. ნათაძესთან.


ტფილისი, 29 სექტემბერი

ამას წინად ქუთაისში მომრიგებელ-სასამართლოში გაირჩა ერთი შესამჩნევი საქმე. ჩვენ ვამბობთ ბბ. დ. ნიკარაძისა და მ. ქუთათელაძის საქმეზე, რომელმაც ქუთაისში ძალიან ააჩოჩქოლა საზოგადოება და გაზეთების ყურადღებაც მიიქცია. ამიტომაც ჩვენა ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნება მკითხველებს საუბარი გავუმართოთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხსენებულს საქმეს, რითია იგი საყურადღებო. სანამ ამას შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვით მოვაგონებთ მკითხველს თვით საქმეს. ბ-ნმა ნიკარაძემ შეურაცხ-ჰყო ქუთაისის „საურთიერთო კრედიტის საზოგადოება“, ამ საზოგადოების დირექტორი, ბ-ნი მ. ქუთათელაძე, და დასწამა მას იმ ათასის მანეთის მითვისება, რომელიც ვითომდა ამ „საზოგადოებაში“ დაკარგულა. რასაკვირველია, ქუთათელაძემ მიჰმართა სასამართლოს და მოინდომა ნიკარაძის დასჯა სასამართლოს წესით, მაგრამ სასამართლომ დამნაშავედ არა სცნო ნიკარაძე, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა მოწმეთა ჩვენებისაგან, საზოგადოებაში ბევრი სწამებდა ქუთათელაძეს იმ საქციელს. აღმოჩნდა, რომ ქუთაისში იმ ათასის მანეთის შესახებ და ბ-ნს ქუთათელაძეზე დიდი ხანია რაც ლაპარაკობენ და მხოლოდ ნიკარაძის წყალობით გამოაშკარავდა და გაზეთებში სალაპარაკო საგნად შეიქმნა ის ათასი მანეთი.

ეგ საქმე იმით არის შესანიშნავი, რომ იგი ეხება საზოგადო ბანკის ფულების დაკარგვას და საზოგადოების მოსამსახურე კაცს, რომლისათვისაც საზოგადოებას არჩევანით მიუნიჭებია საპატიო ადგილი ბანკის დირექტორისა. და აი, საზოგადო საქმის მწარმოებელს, ბ-ნს ქუთათელაძეს, თვით საზოგადოება, რომელმაც მიანდო თვისი საქმე, სწამებს ბანკის ფულების დაჩემებას... ის-კი არ იფიქროთ, რომ ქუთათურები აღშფოთებულიყვნენ ამ ფულების დაკარგვით და ქუთათელაძის საქციელით, რომლის სინამდვილეზე ქუთათურებს ეჭვიც არ აუღიათ, და სცდილიყვნენ იგი შეუწყნარებელი საქციელი გამოეაშკარავებინათ, არამედ შინაობაში ლაპარაკობდნენ ბანკის დირექტორზე და მის საქციელზე, ზურგს უკან აძაგებდნენ ბ-ნს ქუთათელაძეს და პირში-კი აქებდნენ და ადიდებდნენ ქებითა მრავალ ფერითა, ასე რომ თუ არ უბრალო შემთხვევა, თუ არ ბ-ნ ნიკარაძის მოქმედება, — შესაძლოა, სრულიად ჩაათუჩეჩებდნენ ამ ათასის მანეთის საქმეს და ბ-ნს ქუთათელაძესაც ისევე უწინდებურად აძაგებდნენ და ადიდებდნენ. არც ქუთაისის საზოგადოებამ და არც „საურთიერთო ნდობის საზოგადოების“ მმართველებმა არა იღონეს-რა იმისათვის, რომ ეს საქმე გამოერკვიათ, ბ-ნი ქუთათელაძე ან სრულიად დაეხსნათ ბრალდებისაგან, თუ იგი მართალი გამოდგებოდა, ან და სცდილიყვნენ გაეძევათ იგი საზოგადოებისაგან, ვითარცა ისეთი კაცი, რომელსაც შესძლებია ბანკის ფულების დაჩემება. ამ შემთხვევაში ქუთათურებმა და იმ „საზოგადოების“ მმართველებმა, წევრებმა, გამოიჩინეს შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი, და აგრეთვე კერძო კაცის სახელისა და თავ-მოყვარეობისადმი. არც საზოგადო ინტერესს მიაქციეს ყურადღება და არც იმას, რომ სამართლიანად და უბრალოდ, უსაფუძვლოდ სწამებენ ადამიანს, საზოგადოების წევრს, ბანკის დირექტორს, „საზოგადოების“ ფულების დაჩემებას, თუ არა. პირ-იქით, ალბად იმასა ჰფიქრობდნენ, რომ ათასი მანეთი სადაც უნდა დაიკარგოს და ადამიანის სახელის უსაფუძვლოდ შებღალვა, ტალახში გასვრა, თუნდაც უმიზეზოდ, არა არის-რაო; ვინ არ გალანძღულა ამ სოფელში და შებღალულს ადამიანსაც შეუძლიან, სოფელი მოსჭამოსო. ალბად ჰფიქრობდნენ, რომ „სახელის მოხვეჭა“ უქმი სიტყვაა და ამიტომაც არც იმ ათასის მანეთის ბედს გამოუდგნენ და არ ეცადნენ აეხსნათ, ჩაიდინა თუ არა ბ-ნმა ქუთათელაძემ იგი საზიზღარი საქციელი, რომლის გამო ქუთათურები შინაობაში იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ბ-ნმა ნიკარაძემ გაბედა და საქვეყნოდ შეურაცხ-ჰყო ქუთათელაძე.

ჩვენ ჯერ-ჯერობით უფლება არა გვაქვს ბ-ნი ქუთათელაძე ან გავამართლოთ, ან გავამტყუნოთ, რადგანაც საქმე ჯერ გამოურკვეველია. ჩვენთვის მხოლოდ საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებაზე, თუ რაოდენის გულ-გრილობით ეპყრობა ჩვენი საზოგადოება საკუთარს საქმეებს, საკუთარის წევრების სახელსა და პირადობას. ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რამდენად გაუწვრთვნელნი ვართ საზოგადო საქმეთა სამსახურისათვის..

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეის იქით მაინც მიაქცევენ ქუთათურები ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას და გამოურკვეველად არ დასტოვებენ არც იმ ათასის მანეთის ბედსა და არც იმასა, თუ რაოდენად უმართლოდ, ან და სამართლიანად აბრალებენ ბ-ნს ქუთათელაძეს ამ საქციელს...

## ახალი ამბავი

*** მილის წყალმა გონების გამჭრიახობა გამოიწვია ტფილელებში. იმ დღეს ვაცნობეთ მკითხველებს ხელით სატარებელი „პოვოსკა“ და ბოჩკა წყლის საზიდლად. ეხლა კიდევა ენახეთ ძალიან თავისებური მოწყობილობა ამავ აზრისათვის. თათრებს გაუკეთებინებიათ ერთ გვარი ტახტი, რომელზედაც დამაგრებულია ოთხი კოკა. ამ ტახტს ჰკიდებენ ვირს და ერთ გზობაზე ოთხი კოკა წყალი მიაქვთ სახლში. ერთის სიტყვით, როგორც ეტყობა, მეთულუხჩეებს სულ გამოეცლებათ პირიდამ ლუკმა.

*** ორთაჭალაში, ნავთლუხის პირდაპირ, ტკვარმა გამოაგდო ნაპირზე გვამი დამრჩვალ თათრის იუსუფასი, რომელიც ამას წინად დაირჩო.

*** დღეს, დილის 9 საათზე, ერთი მანდილოსანი ფაეტონით მოვიდა მრუდე ქუჩაზედ და ჩამოხტა. ჯიბგირებმა უცებ ასტაცეს ფაეტონიდამ ბოღჩა,

# ფელეტონი

## ფშაური ლექსები

ფშავში შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ

მტერიმც გადაჰყრის, ვაჟებო, [54]
ამ ზამთრისთანა ზამთარსა!
ახლა-კი ზაფხულ მოვიდა,
დავდივარ აქათ-იქითა.
მტერნიმც ნუ გაიგონებენ
ბოდახევლების ნაქნარსა!
უწველავ ქალი და რძალი,
თითო უვსებდა ტაგანსა. [55]
ქალაქსა კაცი გაგზავნეს,
გაიგეთ ყველის მაზანდა;
მოუვა მახარობელი,
ლამაზს მოუტანს ამბავსა.
ურმებით ქალაქს წავიღოთ,
მივართვათ . . . . .
ერთმანეთს ეუბნებიან—
ან მენდალს მოგვცემს, ან ჯვარსა!
მენაც მიუველ, ვეხვეწე—
ერთ კვერ მამეცით ფასადა;
დევებ ბევრიდან გამიშვას,
მივართომ ყვარის ნაცვალსა;
თორომ გირავს წამართომს,
დამინიავებს ნაცარსა;
ბოდახევაში დადგება,
როცა გაჰბედავს აედარსა;
თან სეტყვას ჩამაყოლებს [56],
ყანას არ აჩენს თავ-თავსა;
თქვენი ბრალია, ვაჟებო,
არ ინდობთ ქალსა და რძალსა! .

—

ცეცხლისა და წყალს შუა ვარ,
ორისავე ვარ ნებასა;
ცეცხლი მიპირებს დაწვასა,
წყალი—თან ჩაყოლებასა!

—

ჩავხედენ წყალსა, ჩაჰქონდა
თეთრი მაქალო ნასეტყვი;
რო სურვილს მამაკვლევინო,
ქალო, დედას ჩემს რას ეტყვი?!

—

დადეგ წყალო და მიამბე—
სად ვინ რა დაგაბარაო?
ხვარ ვინ მოვიდა შენთანა,
ხელ-პირი დაიბანაო?
ხომ არ ატირდა ბრალადა,
ცრემლები ჩამოყარაო?
ომში წასულსა ძმასთანა
დამა რა დაგაბარაო?

—

გადამავალო ყორანო,
გადამიტანე ჩქამიო;
უთხარი დედასა ჩემსა—
წაიხვენ ჩემნით თმანიო;
დაჰკიდოს დარბაზის კარზე,
აბრიალებდეს ქარიო;
შემვლელ-გამამვლელ მგზავრებსა,
ყველას ეჭიროს თვალიო;
ღმერთმა გაცხონოს ქალაო,
ვისიც არიან თმანიო.
ყველამ ესე თქვას, წავიდეს,
სადაც არს მიმავალიო.

—

ღმერთი და სულნი წმინდანი
ერთმანერთს შეამკობენო;
კაცსა მტყუანსა, მართალსა
კაცნივე შეატყობენო!..

—

ლვინო-კი მათრობელი სჯობ,
ძაღლი თეოზედ [57] მყეფარი;
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,
რო გაჭირდება,—მქეხარი;
არც ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკვეხარი!..

—

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო;
თვალნი ქორებულ მხედავნი,
მუხლები შავარდნისაო!..

—

ყმა უმღერალი არ ვარგა,
ჭაბუკი უხელებელი;
ჭაბუკსა უხელებელსა
ქალი სჯობ უხსენებელი!..

—

დაეხსენ არმის ჭამასა,
დადექ ალალსა რჯულზედა!
თორემ შენც მოგაგონდება,
ხელთ რომ დაგიკვრენ გულზედა;
ეშმაკნი ანგელოზებსა
ეცილებოდენ სულზედა. .

—

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი მეც შევისრიე;
სოფელში ამაყობასა
ისივ დათმობა ვირჩიე.

—

როსტომ თქვა: ვერა სჯობია
ამ ჩემსა მოგონებასა,—
კაცი თუ მოკვდა, მორჩება
ჭირსა და დაღონებასა.

—

როსტომ თქვა: ჰკვა დიაცისა
არც მამწონ, არც მეკეთება;
ვაჟკაცს, დიაცის მჯერესა,
სამარემც დაეკვეთება;
ჯერ ხომ შენია დიაცი,
მერე სხვას გაეკეთება.

—

არ მეგონა და მამერგო
მინდორს ძოვება ჯოგისა;
არც აძრახდომა მწადიან,
არც შახედნება ზოგისა.

—

თოფში თოფი სჯობ სიათა,
მეტ-ჩარმა [58]), გვარ შარეული;
უჭკო იყიდის ძეგლიგსა,
ყმაწვილი გონ-დალეული.
გუდარახს ჩამოვიარე,

—

დუქანში დამხვდა ვართანა;
უცხო კაცს ეგონებოდა,
ძმა თუ მისულა ძმასთანა;
რაც არ მენახა ჩემ დღეში,
ისეთი მასვა-მაჭამა;
დახლში სამ გადაეფარა,
იქით ჩოთქ გადმააჩქამა;
გაუსვა სალოკა-თითი,
გააქან-გამააქანა.
ხუთი მანათის ფულისა
ერთ აბაზი-ღა დამრჩალა;
ავიღე, ისიც გადუგდე,
მაგის შინ წამღემც შამრცხვალა...
ჩოთქო მოგიკვდეს პატრონი,
ვინაც გაგკუთხა, გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირზედა
ორსავ კუთხეზე დაგჩარა.
მეჩხუბებიან ჯალაფნი:
„სახლში აღარა შაგვრჩა-რა,
თორმეტის ფურის ნაწველი
შენმ მუცელმ შასვა-შაჭამა.

[54]) ნაბიჭვრიანის ქალის აღმოსაჩენად ქალები დასწველეს, ძუძუები გაუსინჯეს და ეს ლექსი ამაზეა ნათქვამი.
[55]) ტაგანი საწველელია.

[56]) ხალხსა სწამს, რომ რომელ სოფელშიაც ნაბიჭვარი დაიბადება და მოუნათლავი მოკვდება, იმ სოფელს დასეტყვამსო.

[57]) ცხვრის ბინის გარეშემო ალაგია, სადაც ძაღლი ჰყარაულობს.

[58]) თოფის ჯურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსითა და თეთრეულით სავსე. პოლიციელი იქვე ახლოს იდგა, დაინახა და გამოუდგა, მაგრამ ჯიბგირებმა თავს უშველეს.

*** 26 სექტემბერს საკომერციო კლუბის ზამთრის სადგურში იდღესასწაულეს გამოჩენილ მხატვრის ი. კ. აივაზოვსკის 50 წლის იუბილეი მისმა პატივის-მცემლებმა.

*** 28 სექტემბერს იყო კრება ქალაქის საბჭოსი. სხვათა შორის განხილულ იქმნა წინადადება სამეურნეო საზოგადოებისა ქალაქის თვით-მართველობის მიმართ. წინადადებაში სამეურნეო საზოგადოება სთხოვდა ქალაქს ფულით დახმარებასა გამოფენის გასამართავად. ქალაქის გამგეობამ უარი არჩია ფულის დახმარებას, რადგან ბევრი ხარჯი მოგვივიდა ამ წელსაო.

*** ბათუმიდამ: დღეს, 26 ს სექტემბერს, მთელი ბათუმი შეაძრწუნა შემდეგმა სანახავმა: ბათუმის შუა-გულ ქუჩაზედ „დროგებით“ მოასვენეს ბერძნის ეკკლესიაში ხუთი მიცვალებული. მთელი ბათუმი ზედ დაედო ამ არა-ჩვეულებრივს ამბავს. აი საქმე როგორც ყოფილა: ამ წარსულს კვირას საშინელი ავდარი იყო აქა, ისეთი საშინელი ქარი ჰქროდა დასავლეთით, რომ მხოლოდ იანვარში შეიძლებოდა ამ გვარი ქარი. აღელდა ზღვა, მაგრამ რა აღელდა—ისე ღრიალებდა, თითქო მთელს ქვეყანას შთანთქმას უპირებსო. ბათუმის ნავთ-სადგურში ისე ღელავდა ზღვა, რომ შორს რეისზე მდგომი ანატოლიელი გემი, მარილით დატვირთული, შუაზე გახეთქა ტალღებმა. ნიშნები მისცეს ნაპირზე, მაგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა: დაიღუპა გემი დღისით და მთელი ქალაქი უყურებდა ამ შესაზარს სურათსა. დაირჩო ცხრა კაცი. ამ უბედურთაგანი ხუთი გამოუგდია ზღვას. აი ესენი იყვნენ დროგებით რომ მოასვენეს ბერძნის ეკკლესიაში. ირიზას დაღუპულა რამდენიმე გემი: ასზე მეტი კაცი დაიღუპაო. ირიზიდგან მოსულებმა ერთი ამბავი გვიამბეს: თურმე ერთი გემი იღუპებოდა, რომელიც ტალღებმა გახეთქეს. კაპიტანმა დაინახა თუ არა, რომ საშველი აღარსაით არისო, მაშინვე მატროსებს გამოუცხადა, პატარა ნავებში ჩამსხდარიყვნენ და იქვე ლუზაზე დაბმულ გემზე გადასულიყვნენ. ეს გემი თურმე სხვისა იყო. გადავიდა მთელი ეკიპაჟი, მოხსნეს ლუზას გემი, გამოკურცხლეს ამ სხვის გემით ბათუმში და ამ ნაირად გადარჩნენ დაღუპვას. დამოჟნამ შეაპყრო გამბედავი კაპიტანი.

*** ქუთაისი: ბ-ნი ლორთქიფანიძე მეორეჯელ ჩამოვიდა აქ და გაანახლა აქაურ სათავად-აზნაურო ბანკთან მოლაპარაკება მირზოევისეულ ქარვასლის შესყიდვის თაობაზე. ამ გზობით ცოტაოდენი კიდევ წაუმატა. ეხლა იძლეოდა ცხრამეტი ათას ხუთას თუმანს და მათ რიცხვში ამ თავითვე ორი ათას თუმანს, ასე რომ ამ ანგარიშით ჩვენს ბანკს კიდევ ექნებოდა ზარალი ხუთი ათას თუმნამდე. გაათავეს კიდევაც თითქმის მოლაპარაკება და შესთანხმდნენ, მაგრამ ბანკის მმართველობამ უთხრა, რომ ჩვენ ჯარიმას ვერ ვიკისრებთო, და ამ მოკლე ხანში რომ ცოტა მეტი შემოგვაძლიოს ვინმემ, იმას უნდა მივჰყიდოთ, თუ ეხლავე არ გავათავეთ საქმეო. მმართველობამ მოსთხოვა ის ორი ათასი თუმანი ეხლავე, ბ-ნმა ლორთქიფანიძემ ეს ველარ შესძლო და საქმე ჯერ-ჯერობით შეჩერდა.

*** იქიდამვე: ეს ერთი თვეა, რაც შვეიცარიელ ქვეშევრდომს ბ-ნ დურრერსა და ბ-ნს მ—ს შორის მოლაპარაკება სწარმოებს ამ უკანასკნელის ტყის შესყიდვის თაობაზე მოსაჭრელად. ამ დღეებში უნდა გათავდეს ეს საქმე. ბ-ნს დურრერს და მის კამპანიას განზრახვა აქვთ აგრეთვე შვეიცარიელ ქვეშევრდომთან, ბ-ნ ლიბერგერთან, ერთად, რომელიც შავქვასა ჰგზავნის სამზღვარ-გარედ,— რკინის გზა გაიყვანონ ყვირილიდამ ჭიათურამდე. ესენი, როგორც ეტყობათ, ისეთის ჯურის კაცები არიან, რომ თუ იტყვიან, კიდევაც შეასრულებენ, ასე რომ, იმედია ამ ერთს ან ორს წელიწადში რკინის გზას კიდევაც გააკეთებენ.

*** იქიდამვე: სალორიაში ამას წინად გლეხები ყანას მუშაობდენ; ამ დროს ამათთან მისულა ერთი უცნობი კაცი. გამოჰლაპარაკებია. და შემდეგ, როცა ეს უცნობი წასულა, მუშებს იმ ადგილზე, სადაც მოსული კაცი ელაპარაკებოდა მათ, უპოვნიათ კარგა ძალი ქაღალდის ფული. აქ ჰფიქრობენ, რომ ეს უცნობი ქ. ლიმბერგერის გამცარცველთაგანი უნდა იყოსო, და იმედი აქვთ ამ მუშების ჩვენებით მაინც აღმოაჩინონ ავაზაკთა ვინაობა.

*** გაზ. „Новое Обозрѣніе“-ში ვკითხულობთ: სტატსკი სოვეტნიკმა სტრუვემ მიართვა ბ-ნ მთავარ-მართებელს წერილი შესახებ ვაზის ახალ სენისა, რომელიც დიდის უბედურებით ემუქრება კავკასიის ვენახებსა, და ამბობს, რომ მალი და უებარი ღონის-ძიება უნდა მიიღოთ, თორემ სულ დაეცემა ჩვენებური ღვინის წარმოებაო. ბ-ნმა მთავარ-მართებელმა ეს წერილი გაუგზავნა სამეურნეო საზოგადოებას, სთხოვა—საგანგებო კრება მოახდინეთ ამის თაობაზე და დაუყოვნებლივ შემატყობინეთ კრების გარდაწყვეტილებაო.

*** გაზ. „Кут. Вѣдомости“ გვაცნობებს: 10 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, ექვსი შეიარაღებული კაცი შეუცვივდა სახლში ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს, მიტარევსკის, რომელთანაც ამ დროს იმყოფებოდნენ მისი ცოლი, მოახლე და მასწავლებელი ივანოვი თავისის ცოლით. ყაჩაღებმა მოითხოვეს ფული. ივანოვს წაართვეს ქისა, რომელშიაც სულ 45 კაპეიკი იდო, კედლიდამ ჩამოიღეს თოფი და ხანჯალი. შემდეგ გაცვივდნენ და გაიქცნენ. პოლიციამ ეჭვი აიღო ოზურგეთის სასწავლებლიდამ გამორიცხულ შეგირდებზე — ივანე მახარაძეზე და ერეკლე ბერიძეზე, და აგრეთვე ორს სხვა კაცზე, რომელნიც დღეს დაპატიმრებულნი არიან.

*** საერო განათლების სამინისტროს, როგორც შეუტყვია გაზ. „Рус. Вѣдомости“-ს, განზრახვა აქვს გახსნას ბათუმში საპროფესიონალო სასწავლებელი ვაჟებისათვის, რომელთაც გაუთავებიათ დასაწყისი სწავლა და აკლიათ ცხოვრებისათვის საჭირო ხელობანი. სასწავლებელში ოთხის წლის კურსი იქნება. უნდა ასწავლონ ხელობა და მისცენ შესაფერი გონებითი განათლებაცა. მართლ-მადიდებელთ უნდა გაიარონ სამღვთო წერილი, შეისწავლონ რუსული ენა, არითმეტიკა და ანგარიში, მხატვრობა, ხაზვა, ცოტა რამ გეომეტრია ხელობისადა კვალობაზედ, უსაჭიროესი ცნობანი მიწის გაზომვისა, გეოგრაფია და ისტორია, უფრო რუსეთისა, ელემენტარული შეგნება ჰიგიენისა და ბუნების-მეტყველებისა, სიმღერა ხოროთი და გიმნასტიკა. ვინც სწავლას გაათავებს, მისცემენ მოწმობას ოსტატის თანაშემწისას ხელოსნობაში, ანუ ბაღოსნობაში; ხოლო ვინც კიდევ ორი წელიწადი გამოიჩენს ბეჯითობას ხელობის შესწავლაში, იმას მიეცემა მოწმობა თვით ოსტატისა, ანუ მებაღისა. სასწავლებელში მიიღებენ ყმაწვილებს არა ნაკლებ 14 წლისა. სასწავლებლის შესანახავად სამინისტრო სთხოვს ხაზინას წელიწადში 4,000 მანეთს მისამატებლად იმ 300 მანათისა, რომელსაც დღეს აძლევს ხაზინა ბათუმის საქალაქო სასწავლებელს ბაღოსნობისა და ხელოსნობის სასწავლებლად. გარდა ამ 4,300 მანათისა სასწავლებელს სწირავს ბათუმის საქალაქო საზოგადოება წელიწადში 500 მანათსა.

*** რადგანაც ბ-ნმა მთავარ-მართებელმა აღძრა სამინისტროში კითხვა, რომ კავკასიის ხალხს დიდს სირცხვილად მიაჩნია გატიტვლება შემოწმების დროს, როდესაც კენჭი უნდა ჩამოატარონ ხოლმე, ამიტომ სამხედრო და ზღვათა მინისტრებმა, როგორც გვაცნობებს გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости“, შესაძლოდა სცნეს აღარ გაატიტვლონ კავკასიის ხალხი. თუ ათასში ერთხელ საჭირო იქმნა ტანის გასინჯვა სხვა-და-სხვა სნეულებათა გამო, საკენჭოდ გამოსული უნდა გაატიტვლონ არა საჯაროდ.

# წერილი ქუთაისიდამ

## ქუთათური-ქუთათურად

IV

მადლობა ღმერთს! დღეს მაინც შემიძლიან არ გავტეხო პირობა და მოგწეროთ ის, რასაც რამდენჯერმე გპირდებოდით წინა წერილებში!— ე. ი. ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობასა—აქაურს საბჭოსა და გამგეობაზე. დავიწყებ ორთავეს „მეტრიჩესკით“.

ის საბჭო, ანუ, უკეთ ესთქვათ, ის „ხმოსანთა გროვა“—უფრო ნამდვილი ნათლიის სახელი იქნება მისი, რომელიც დღეს განაგებს და აწარმოებს ქალაქის საქმეებს და რომლის ხელში ქალაქის აღმომრჩევლებს ჩაუგდიათ თავის ქალაქის ბედ-უბედობა,—შესდგა 1884 წლის დამდეგს; წელს-კი თავდება იმისი ვექილობაც, და ახალის არჩევანების მოსამზადებლად ქალაქის გამგეობას გამოუცია კიდეც განცხადება, რომლითაც იგი იწვევს მცხოვრებლებს მომავლის თთვის დამლევისათვის გასწმინდონ „ნედოიმკები“ მამულებისა, თუ უნდათ, რომ მომავალის ოთხის წლისათვის არჩევანში მონაწილეობა მიიღონ. არ ეტყობა მაინც-და-მაინც რომ ამ განცხადებას რაიმე ზედ-მოქმედება ჰქონოდეს მცხოვრებლებზე; რომ რომელიმე მემამულე დაეფაცურებინოს—აი გავსწმინდო „ნედოიმკები“ და არჩევანთა სიიდამ არ გამოვერიცხო თავიო. ჩვენ შევიტყვეთ, რომ დღემდის გამგეობას არჩევანის სიაში 315 კაცი ჩაუწერია; ამათგან მხოლოდ 85 ქუთაისის მემამულენი არიან, დანარჩენი-კი სულ ვაჭრები და მათი „პრიკაშჩიკები“. ამით დარწმუნდებით, თუ რამდენად დაფაცურებულან მემამულენი, რომელთა რაოდენობა ქუთაისში 3,000-მდე აღირიცხება. მაგრამ ნუ ეჩქარობთ, წინ ნუ გავრბივართ! ჯერ ძველზე ვილაპარაკოთ და ახალზე—თუ როგორი უნდა იყოს ქალაქის საქმეების მომავალი გამგე-საბჭო—შემდეგ.

დიახ, ოთხი წელიწადია, რაც დღევანდელი საბჭო ქუთაისისა ქალაქის საქმეებს განაგებს, და ოთხი წელიწადი ქალაქის ბედისა და ავ-კარგიანობისათვის ცოტა დრო არ არის. ოთხის წლის განმავალობაში ქალაქის საკეთილდღეოდ მუშაობა დიდს კვალს დაიმჩნევდა, ბევრს შეჰმატებდა ქალაქს და მის მცხოვრებლებს. ეს ასე უნდა ყოფილიყო, ამისი მომლოდინე უნდა ვყოფილიყავით ჩვენ, აღმომრჩეველნი, როდესაც ჩვენსა და ჩვენის ქალაქის ბედს ხელში ვაბარებდით დღევანდელს ჩვენს ვექილებს—ქალაქის საბჭოს წევრებ-ხმოსნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგიდამ დაინახავთ, რომ ჩვენი იმედი მხოლოდ იმედად დარჩა, ოცნებად გარდაიქცა! ამის დასამტკიცებლად საკმაო იქნება მხოლოდ ორიოდე მაგალითი გიამბოთ დღევანდელ საბჭოს წარსულის ცხოვრებიდამ. ან კი რა გასამტყუნარნი არიან ისინი! რა კაცებისათვის ჩაგვიგდია ხელში ჩვენი ბედ-იღბალი, რომ იმათგან უფრო მეტის მომლოდინე ვყოფილიყავით?

ქუთაისის საბჭოს შეადგენს დღეს 36 ხმოსანი, რომელთაგან ორი ამ ოთხის წლის განმავალობაში უკვე მიიცვალა. წინედ საბჭოში 54 წევრი ითვლებოდა და სხვა არა იყოსრა ამითაც შეგიძლიანთ დარწმუნდეთ, თუ აქაურობა რამდენად თანაუგრძნობს თვით-მმართველობას. რომ არ დამავიწყდეს, ეხლავე უნდა გითხრათ, რომ ამ 36-ს ხმოსანში ერთი იმისთანა წევრი შემოეპარათ, რომელმაც, გამგეობის წინააღმდეგ რომ სხვა ვერა გააწყო-რა, წამოროშა საჯაროდ სხდომის დროს: „შევევედროთ მართებლობას, რომ ეს ქალაქის თვით-მმართველობა გაგვიუქმოს და ისევ პოლიციას ჩავაბაროთ ჩვენი ქალაქიო“. კიდევ კარგი, რომ ამყოლი ვერავინ იშოვნა, თუმცა გულში ეგების ბევრი სხვაც ამ ხმაზე გალობდა, თორემ ვინ იცის რა იქნებოდა. ეს ვაჟბატონი ხმოსანი, რომელიც თვით-მმართველობის გაუქმებას ასე ჰღაღადებდა, თავად გააუქმეს... გააძევეს ხმოსნობიდამ, ვითარცა შემოპარული და ღირსეულის სახელის ასე ულირსად მატარებელი.

დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ დღევანდელს ქუთაისის ქალაქის საბჭოს შეადგენს 34 კაცი. ასე რიცხვით პატარა საბჭოში რომ ნახევარი ხმოსნების რიცხვისა ინტელიგენცია იყოს, ქუთაისის გარდა, სხვა რომელისამე ქალაქის საბჭოს ვერ დამისახელებთ. ქუთაისში-კი 34 ხმოსანთაგან 16 ეკუთვნის ინტელიგენციის დასს. დიდი ბრძოლა და მეცადინეობა გასწიეს არჩევანის მოთავეებმა, რომ იმდენი „განათლებული“ კაცი გაეყვანათ ხმოსნებად, და აუსრულდათ კიდეც გულის წადილი. იმედი გვქონდა, რომ ეს განათლებული და ახალგაზდა ხმოსნები უფრო გულ-მტკივნეულნი იქნებოდნენ, უფრო გულ-დასმით, ბეჯითად და მომეტებულის ცოდნით მოეკიდებოდნენ ქალაქის საქმეებს და სხვ. და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, გაგვიწბილდა ეს ჩვენი იმედი. საბჭოს სხდომების ბიულეტენი გვარწმუნებს, რომ ათს სხდომაზე განათლებული ხმოსანი ესწრება მხოლოდ სამს და ისიც სამს იმისთანა სხდომას, რომელზედაც უთუოდ გამგეობის წევრების ან ჯამაგირის მიმატებაზე არის ლაპარაკი და ან კიდევ რომლისამე იმათგანის სხვა გვარად დაჯილდოებაზე. სხვა რომელიმე საქმე ქალაქისა, ვსთქვათ, ქალაქის გამშვენიერება, ქუჩების გაკეთება, განათება, ქალაქის პლანი, სასაფლაოების გამართვა, წყლის გაყვანა, სკოლის საქმე და სხვ. თითქოს მას სრულიად არ შეეხება. ამისთანა საქმეების განხილვას და გარდაწყვეტას ის უთმობს თავის ამხანაგებს: სამსახურიდამ გადამდგარს მოხელეებს, ან გადამდგარს და გასაკოტრებლად განმზადებულს ვაჭრებს, პრიკაშჩიკობიდამ გუშინ-წინ თავ-დაღწეულს ახალმოდურს „კუპეცებს“ და სხვა ამისთანა ხმოსნებს, რომელთაც ჯერ კარგად ვერც-კი შეუგნიათ „ხმოსნის“ მოვალეობა და მნიშვნელობა. ერთი განათლებული ხმოსანი იმისთანა გვყავს, რომელიც ამ ოთხის წლის განმავლობაში ერთხელაც არ დასწრებია ქალაქის საბჭოს სხდომას. უეჭველია, მაშასადამე, რომ ეს დალოცვილი მარტო სახელისათვის არის ხმოსნად, თუმცა არ ვიცით, ვის როგორა სცხელა ამ სახელით: უფრო ქუთაისს, რომ ამ ადამიანმა იკადრა საბჭოს ხმოსნის წოდების მიღება, თუ ისევ უფრო იმ ხმოსანს, რომ გააბედნიერეს და ქუთაისის საბჭოს ხმოსნის სახელი მიანიჭეს... ჩვენ-კი უფრო იმას ვფიქრობთ, რომ არც ერთი არ გაბედნიერებულა, და ვურჩევთ იმათ, რომელთაც თავის გაბახება არ უნდათ და ამ ნაირად განათლებულთა დასის სახელის დამცირება, ნუ იკისრებენ საზოგადო საქმეში იმისთანა მოვალეობას, რომლის აღსრულებაც არ ძალ-უძთ...

ქუთაისელი

(შემდეგი იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხის მაზრა, 25 სექტემბერს. ფრიად მრავალი საკორრესპონდენციო ამბებია ამ ძველთაგან შესანიშნავ და პატივ-საცემ სამესხეთო, აწ ახალციხის მაზრის, მხარეში, მაგრამ ყურადმღები ამისი, ამ საქვეყნო მეცხრამეტე საუკუნეში, არავინ არ არის. ყოველ ჩვენ ნასწავლ კაცს საზოგადოდ და განსაკუთრებით ქართველს უპირველესი საყვარელი, ყურადღება და გამოკვლევა ამ მხარეზედ უნდა ჰქონდეს მიქცეული, რადგან ძველთაგან აქედგან ვრცელდებოდა განათლება საქართველოში და აქვე იზრდებოდნენ მეტად ნიჭიერნი და სახელოვანნი მოღვაწენი... აგვისტოს გასულს ჩემს ნაცნობს წავყევი შოთა რუსთაველის სოფელში—რუსთავს, ახალციხიდგან მე-12 ვერსტზედ ახალქალაქისაკენ და ვიხილე რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის სოფელი, სადაც აწ ითხი თათრის მოსახლე სცხოვრობს, ჩემი გული უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო: თან მიხაროდა კიდეც ამ დიდებულის კაცის სამშობლოს ნახვა და თან თითქო ტირილიც მინდოდა. აი-მეთქი, ვამბობდი გულში, აქ დადიოდა ის გენიოსი კაცი, აქ ატარებდა ყმაწვილობას და აქედამ მიაფინა სხივი დიდებისა მთელს ჩვენს სამშობლოსა-მეთქი. მაგრამ თან ის მიწუხებდა გულს, რომ ამ შესანიშნავს ალაგს არავითარი ნიშანი ჩვენის ყურადღებისა არ მოიპოვება. არც მცირე რამ ძეგლი, არც ქვა-წარწერილი, არც ხის სვეტი, რომელზედაც ეწეროს ეს ამბავი. ნუ თუ დიდხანს კიდევ დარჩება ეს საქმე ასეთს მდგომარეობაში და არავინ ითავებს, რომ ორი სიტყვა მაინც ეწეროს სადმე ამ სოფელში და ეს ორი სიტყვა ამბობდეს, რა ადგილიც არის ეს ადგილი. არა გვგონია, რომ ეს ძნელი მოსახერხებელი იყოს.

რუსთაველამ მდინარე მტკვარში გავედით ცხენებით და მივედით ურავლის სამკურნალო წყლებზედ *), სადაც იყვნენ ბლომად საბანაოდ მოსულნი ავადმყოფნი.

ამ აბანოდგან გზად გავიარეთ ერთ დიდებულ ძველთაგან აღშენებულ ეკლესიისაკენ, რომელსაც საფარის ეკლესია ეწოდება. ეს ეკლესია მდებარეობს ახალციხიდგან მეექვსე ვერსტზედ, სამხრეთისაკენ ერთ პატარა ხეობაში; გარს არტყია ქვითკირის გალავანი, რომელშიაც აღშენებულია ცამეტი ეკლესია სხვა-და-სხვა წმინდანების სახელობაზედ წარწერებით. უმთავრესი ეკლესია არის წმიდა საბასი და ღვთის-მშობლისა. პირველ ამათგანში არის სურათი წმიდა საბასი და ძმათა ჯაყელებისა, აწ ათაბეგებად წოდებულთა. წმიდა საბა არის ბერძნულ მღვდელ-მონაზონის სახითა. ათაბეგების ტანისამოსი ჰგავს მთავრის სტიხარსა, ფეხებზედ აცვიათ ჩუსტები, მოქარგულ ყელასხები, და ყურებში აქვთ ვერცხლის საყურეები გაკეთებული. ერთს ამათგანს აწერია: „საბა სათაბეგოთა“, მეორეს „ბექა მანდატურთ უხუცესი“, მესამეს „სარგის სამცხისა სპასალარი“. სხვანი მტერთაგან არის წაშლილი და დამახინჯებული. ერთ ადგილას სხვათა ბევრს ნაწერთა შორის არის ესეთი წარწერა: „საყდარი ესე სრულ იქმნა ხამირკველითა თვისითა ხელითა მისა ფარელისათა“. ამ ეკლესიაშივე არის წმიდა საბას ნაწილოვანი ხატი, ხის ყუთში გაკეთებული...

ღვთის-მშობლის ეკლესიაში არის უწინდელი კანკელის ძვირფასი ქვები, ტურფა ჩუქურთმიანი. საფარის ეკლესიები სდგანან კლდეებზედ ბუნებით შემკულ ადგილას, სადაც ჭაერი არის მოსაწონი, წყარონი სდიან მრავალნი; მგალობელნი ფრინველნი დილით თუ საღამოთი იმდენია, რომ კაცს ეგონება, ყველა ადგილიდგან აქ არიან მოპატიჟებულნიო. აქ, სხვათა შორის, ეკლესიის მღვდელმა, მამა მეტრეველმა, მაჩვენა ახლად აღმოჩენილი მარანი, რომელშიაც არის სანაქებო მთელი ორმოცამდე ქვევრი და ორი დიდი სახიანი შესანიშნავი ქვა. ერთს ქვევრში აღმოჩნდა ღვინო ცხრა-ათ თუნგამდე. ამ ღვინისა პატარა შუშით წარუდგენიათ ადგილობრივ მაზრის მკურნალის გამრეკელისათვის, უჩვენებიათ პატივ-საცემ გარმიის მღვდელ-მონაზონ მამა კალისტრატესათვის და აგრეთვე ადგილობრივ ბლაღოჩინ დავითიშვილისათვის.

*) ახალციხის მაზრაში მრავალია, გარდა აბასთუმნისა, სამკურნალო წყლები.

ჩემმა თანამგზავრმა მითხრა, რომ ამ მღვდლის გამწესებისათანავე გალავნის გზები გაფართოვდა, ხალხი უფრო მეტად დაიარება ეკლესიაში და თვით ეკლესიაც სიკეთეში შედისო. მამა მეტრეველმა მაჩვენა მარანთან ახლოს საუცხოვო საწნახელი ქვითკირისა, რომელსაც მილი კარგა მაღლა აქვს გაყვანილი ჩუქურთმიან ჯვრიან ქვის გულში. გზები გაუფართოებიათ წარსულ წლის გაზაფხულს; მარანი და საწნახელი აღმოუჩენიათ ამ ზაფხულს. ყველა ქართველისათვის სასიამოვნო უნდა იყოს ხილვა ამ ეკლესიისა, ათაბეგებისა, საწნახელისა, მარნისა და ნაწილოვან ხატისა. აქ ნაწერები ბევრია და იქნება შემდეგში გადმოვიწერო, მხოლოდ ამ ჟამად მსურს გიამბოთ შემდეგი:

მეორე ვერსტზედ ამ ეკლესიიდგან ახალციხისკენ გავიარეთ საფარის ეკლესიის სამრევლო სოფელ ღრელში, სადაც ცოტა შევისვენეთ. აქაურმა გლეხობამ შემომჩივლა, ჩვენ მამა-პაპით ვხმარობდით ხონამარდის სახნავ-სათესს მიწებსა და დღეს ეს მიწები ახალციხის ერებმა, ერზრუმიდამ გადმოსულებმა, დაიჩემესო. ერები ამას ვერ იზამდნენ, რასაკვირველია, შემწე რომ არ ჰყოლოდათ. გლეხებმა სთქვეს, რომ ამ საქმეში ერების მომხრე და მოსარჩლე ახალციხის ქალაქის თავი იყოვო. ამ ნაირად ძალ-დატანებით ჩამოგვართვეს მამა-პაპიდგან შემუშავებული სახნავ-სათესი მიწა და მისცეს თავიანთ მოძმეთა სახნავ-სათესად და ძროხების საძოვრად. ეს ადგილი იყო ჩვენი რჩენა და დავრჩით ახლა უწყალოდ. რამდენჯერმე მივმართეთ გუბერნატორსა და სხვა უფროსებსა, მაგრამ ჯერ ჩვენ საქმეს არა ეშველა-რა. ამ დღეებში მივმართეთ სახელმწიფო ქონებათა გამგეობას და ვთხოვეთ გადასახლების ნება ქობლიანის სალესნიჩოში, ერთ ვერანაში. გამგეობამ განხილვა ამ საქმისა მიანდო ლესნიჩსა. ახლო მცხოვრებნი ამ ვერანასთან წყალ-თბილელი ხომხები არიან, დიდად შეძლებულნი გლეხნი და მრავალ მიწა-წყლის პატრონნი. ეს გლეხები აღელდნენ, არ გვდომულობენ მეზობლად. ყოველ დღე დაიარებიან ახალციხეში და ჩვენ უღონო და უძლურმა ღრელელებმა, ამ ღრე-კლდეში მცხოვრებთა, რა უნდა გავაწყოთ მათთან, თუ განხილვაში საქმისა მართლმსაჯულება უკან დადგება?

მგზავრი

## წყალტუბოს აბანო

ეს აბანო გახლავთ ქუთაისის მაზრაში, სოფელ წყალტუბოს. აბანო ტრიალ მინდორზეა, უჭირავს ქვაბივით ამოღრუტნული ადგილი და ირგვლივ შემოფარგლულია მაღლობის ადგილებით. წყალი ამოჰქუხს მიწიდამ რამდენსამე ადგილას, სულ ახლო-ახლო; ამოთხრილია მიწა ოთხ-კუთხად რამდენსამე საჟენზედ სიგრძით და რამდენსამე საჟენზე სიგანით ასე, რომ ყველა სათვალეებიდამ წყალი ამ ერთ ამოჭრილ ადგილას გროვდება. რამდენიმე აბანო გადახურულია, ვითომც ქალების საბანებლად, დანარჩენი-კი კაცების საბანებელია და იმყოფება გაშლილ ცის ქვეშ. წყალი ბუნებით თბილია და, როგორც ექიმები ამბობენ, სასარგებლო და მოსახდენი ავადმყოფთათვის. აბანოს კედლები ამოყვანილია ნატეხის კლდის ქვით, მაგრამ კირით-კი არა—მხოლოდ ქვები დაუწყვიათ ერთი მეორეზე და გარედამ ირგვლივ მიუყრიათ მიწა; შიგნით-კი წყლისკენ წაქცეტილია ნატეხი ქვის წვეტები ასე, რომ ბანაობის დროს კედლების სიახლოვეს მისვლა საშიშია; ქვეშ მოუყრიათ ისევ ნატეხი კლდის კოლბოხი-ქვები, იმ ნაირად, რომ შიშველის ფეხით ვერც-კი გაივლი და თუ გაიარე, ვაი შენი ბრალი: რამდენსაც ფეხს გადადგამ, იმდენს ჩაიფეხვები და მუხლებით დაეცემი ნატეხნაფრეკ ქვებზე.

პირველად რომ მიდიხარ აბანოზე და ემზადები ჩასასვლელად, გული გერევა და არც-კი გინდა ჩახვიდე, ისეთი უსუფთაობა და სუნი გეტაკება ცხვირ-პირში. რა რომ დაარსებულა აბანო, ერთხელაც მგონი არავის ამოუწმენდია და არ გაუსუფთავებია. წყალი თითქმის სულ დაფარულია რაღაც მოყვითლო-მოლურჯო ყარტლით; რაც წვიმების დროს ღვარს უწმინდურება ჩამოუტანია აბანოში, დამპალა და წყლის ტალღას ბანაობის დროს მიუტანია კიდეებზე, იქ უფრო დამლხარა და ისე დგას, როგორც მოზელილი ცომი; ეინიცობაა, უცოდინარობის გამო ამ ადგილს ფეხი დააჭირო, კისრამდის გაიელი შიგ და ისე გაითხუპნები, რომ მგონი სულ ყველა აბანოებიც რომ მოიარო, მაინც ვერ გასუფთავდე.

ბანაობის დროს თუ მთვარე დაგესწროთ, ხომ კარგი, თუ არა და, თქვენმტერს იმისთანა, რაც საქმე მოგივათ: ტანისამოსს გაიხდით, ველარ მიაგნებთ; არც ლამპარი, არც ფარანი და არც არა სხვა სანათური; სანთელი თუ დაიკავეთ, ქარი არ დააყენებს; ავ-კაცებს ხომ ამის მეტი არა უნდოდარა. მართლაც აქ მეტის-მეტი ქურდობაა; ტანისამოსი რომ წინ გიწყვიათ, თუ ერთი გვერდით მიბრუნდით, მშვიდობით, ვითომ შინიდამ შიშველი მოსულხართ; ამოხვალთ წყლიდამ, ამას ეტაკებით, იმას მისწვდებით—ყველა უარს ამბობს, არ წამიღიაო. კაცებს რაც მოსდით, მოსდით, მაგრამ თქვენ უნდა ბრძანოთ, ქალები რა შავ დღეში არიან; იშვიათი ქალი იქნება, რომ დაბრუნდეს შინ გაუღანძლავი, და ვერც დაბრუნდება, თუ კარგი პატრონი თან არ ახლავს და ხანჯალ ამოღებული თავს არ ადგია!!

ჩვენ შევეხმაურეთ პატრონებს ამ აბანოისას, მაგრამ ჩვენს საჩივარს ყურიც არ ათხოვეს: „ჩვენ იჯარით გვაქვს გაცემულიო“,—გვეპასუხეს. მერე მოიჯარადრეს მოველაპარაკეთ და იმანაც ჩვენს საჩივარზე ასე გვიპასუხა: მე რომ ყველა ეგ ავასრულო, მაშინ ბევრსაც მოვიგებო!

ეხლა სადგომები როგორია და ან იშოვება? გაიხედავთ ამ ტრიალ მინდორზე და ხალხი ისე ირევა, როგორც იარმუკაზე; ხარი და ცხენი მოსვლელ ხალხისა ურიცხვი და უთვალავია და სულ ყველა ესენი გამდგარი არიან სიცხე-პაპანაქებაში. ხალხი რა რჯულისა არ მოდის, მაგრამ რაღ გინდათ—თავ-შესაფარი არსად არის; ორი თუ სამი სახლი სდგას და ისიც სახლები-კი არა—ქოხებია. მაგრამ აქ სასტუმროს ადგილიც-კი უჭირავთ, რასაკვირველია, იმათთვის, ვისაც ჯიბე სქელი აქვს და ვისაც შეუძლიან თვითოეულ ოთახში იხადოს დღე-და-ღამეში მანეთი. დაბალ ხალხს სადა აქვს ამისი თავი? ამიტომ დიდს წვალებაში არიან საწყლები. თავიანთ ავადმყოფებით მიკუნჭულან: ზოგნი ურმის ქვეშ, ზოგს დაუსვამს რაღაც ჩხირები, გადაუფენია ზედ რაღაც დაკონკილი, არც საბანი და არც ლეიბი, და ამ ნაირად ჩრდილობენ. აქეთ ხე არსად არის, მხოლოდ აქა-იქ მოჩანან ბუჩქები, რომელთ სიმაღლე დამჯდარის კაცის სიმაღლე არ არის და აბა, მათი ჩრდილი რა იქნება.

აქ წარმოუდგენელი სიძვირეა ყოველისავე ხორაგეულისა. წყურვილით ირჩობა როგორც ხალხი, აგრეთვე პირუტყვიც: აქაურ წყალს კაცი პირში ვერ ჩაუშვებს და ამიტომ სასმელ წყლისათვის მიდიან ორ-სამ ვერსზედ. ერთის სიტყვით, ჩვენ არა გვგონია, რომ ასეთი უწესოება, უსუფთაობა და მთავრობის მხრივ უყურადღებობა კიდევ სუფევდეს სადმე.

ის. ნ—ძე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჟიულ-ფერრის წარმოუთქვამს ერთს კრებაზე დიდი სიტყვა გრაფ პარიჟელის მანიფესტის გამო. ამ მანიფესტმა დიდად გაახარა შეურიგებელთა დასის გაზეთები, რომლებიც მზად არიან ყოველ გვარს შემთხვევას გამოეკიდნენ, ოღონდ-კი ამ შემთხვევამ ერთი ამბავი და განგაში ასტეხოს. ნამდვილად-კი განა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რესპუბლიკისათვის რომელისამე გაზეთის წერილს, თუნდა ამ წერილს ტახტის-მაძიებლის ხელიცა ჰქონდეს ქვეშ მოწერილიო. სთქვა ესა და ჟიულ-ფერრიმ ასე განაგრძო:

„ჩვენ ყურსაც არ ვათხოვებთ ხოლმე უფრო ცხარე წერილებს, რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწერილებსაც, რადგან ვიცით, რომ მთავრობას ვერ შეარყევს გაზეთის წერილი. რესპუბლიკის უმრავლესობას თავი უნდა მოსწონდეს, რომ თავის მოწინააღმდეგეებს ასეთს დიდს თავისუფლებას აძლევს და ხელს არ უშლის, რამდენიც უნდა ილანძღონ. ეს თავისუფლება იმდენად ვრცელია და დიდი, რომ ზოგიერთი კეთილ-გონიერნი ამბობენ კიდეც, არ იქმნებოდა ურიგო, ცოტაოდნად შევზღუდნაო. (ისმის ხმა: „მართლაც არ იქმნებოდა ურიგო!“) მე ასეთის აზრისა არა ვარ, ძვირფასო თანამემამულენო! მე არა თუ შესაძლებელად მიმაჩნია ასეთი ვრცელი და შეუზღუდველი თავისუფლება, არამედ მოთმინებით ვითმენ ყოველ გვარს კერძოდ ჩემთვის მავნებელს შედეგს ასეთის თავისუფლებისას და ხმასაც არ ვიღებ ამ თავისუფლების წინააღმდეგ, მაშინაც-კი, როცა საბუთი მაქვს ხმა ამოვიღო. რაც უფრო მეტის ძლიერებით მწამებენ ცილს და მლანძღავენ, მით უფრო გულ-გრილად ვქცევი ყოველ გვარს ცილის-წამებას და ტიერის სიტყვებს ვიმეორებ დამშვიდებით და გულ-აუმღვრევლად: „მაშინ მე ჩემს თავს ისე ვუცქერი, როგორც ძველს ქოლგას, რომლისათვისაც ერთხელ და ორჯელ არ დაუშენია წვიმასა და ავდარსა“. რაკი ყველას ნება აქვს, თუ ჰსურს, აუგი რესპუბლიკისა ილაპარაკოს, ტახტის-მაძიებლთაც ხელი ჩაჰკიდეს ამ ნებას და იმდენი ილაპარაკეს, რომ საზღვარსაც გადააბიჯეს. მერე საფრანგეთიდამაც განვდევნეთ ტახტის-მაძიებლნი და რაღათ უნდა გვიკვირდეს, რომ ისინიც ადგნენ და მოჰყვნენ წერასა. თუ ეს არ გვინდოდა, ისინი ისევ საფრანგეთში უნდა დაგვეტოვებინა. მაგრამ ჩვენ კარგად განვსაჯეთ, როცა გადავსწყვიტეთ, რომ იმათი ყოფნა ჩვენ შორის და ხრიკები ადგილობრივვე უფრო საშიში იქმნება, ვიდრე დაბეჭდილი პროგრამმებიო.

„გრაფი პარიჟისა ამბობს თავის მანიფესტში,—სთქვა შემდეგ ფერრიმ, ვითომ დაწესდება თუ არა კვლავ საფრანგეთში ერთ-მთავრობა, იგი ეცდება ევროპაში ყველამ თოფ-იარაღი აისხნას და აიყაროსო. აი ამასა ჰქვიან გადაჭარბება და გაზვიადება! პარიჟის გრაფმა ძალიან კარგად იცის, რომ რესპუბლიკა სრულიად არაფერს შუაშია, თუ ევროპა დღეს ფეხით თხემამდე შეჭურვილ-შეიარაღებულია და ამ შეიარაღების გამო მძიმე ტვირთი აწევს სახელმწიფო ფინანსებს. ჩვენ თუ გვკითხა, ასეთი ამბავი ერთ-მთავრობის სამკვიდრებელია და ნაანდერძევი. თუ კვლავ დაწესდა ერთ-მთავრობა, უფრო დამძიმდება დღევანდელი ტვირთი შეიარაღებისა და მშვიდობიანობაც უფრო დიდს საფრთხეში ჩავარდება. რად არის შუა ევროპაში ისეთი მრისხანე სამხედრო სახელმწიფო, რომელსაც უპირატესი გავლენა აქვს ყველგან, მას შემდეგ, რაც მან ჩვენზედ გაიმარჯვა. იმიტომ არის, რომ მუდამ თავის მხედრობას აძლიერებს და, რასაკვირველია, პარიჟის გრაფის ხათრით არ აყრის იარაღს. ახლა ვიკითხოთ: ვის დროს გაიზარდა და გაძლიერდა ეს სამხედრო სახელმწიფო გერმანელებისა, ვინ წაახალისა, ვინ გაამხნევა, ვინ იყო მისი მფარველი? პასუხად უნდა ვსთქვათ, რომ ნაპოლეონ მესამე იყო ამისი მიზეზი, ის ნაპოლეონი, რომელიც განახორციელებდა იმპერიასა. იმან გამოუცხადა საფრანგეთს: «იმპერია მშვიდობიანობააო“ და 10 მილიონმა ამომრჩევლებმა დაუჯერეს ლიტონი სიტყვა. წარმოიდგინეთ, რომ ამ იმპერიამ 15 წლის განმავლობაში სულ იომა და ბოლოს საუბედუროდ ომშივე დაიღუპა თავი. ეხლა რომ საფრანგეთში ერთ-მთავრობა დაარსდეს და ან ახალი ბონაპარტე გამეფდეს, ან ორლეანელი პრინცი, დამერწმუნეთ, რომ ევროპა-კი არ დამშვიდდება, უფრო აღელდება და ახალს ომს დაუწყობს ლოდინს. რესპუბლიკა დღეს ერთად-ერთი მთავრობაა, რომელსაც შეუძლიან სინიდის ქვეშ უთხრას ყველას: „მე ვარ წარმომადგენელი მშვიდობიანობისა. მუდამ მზადა ვარ ჩემს მტერს გავუმკლავდე, თუ თავს დამესხმის, და გავუმკლავდე ყოველის ძალითა და ღონითა; მაგრამ ამასთანავე თვით მე არც ვემუქრები ვისმე და არც თავს დავესხმი ვისმეო.“

## წვრილი ამბები

— პარიჟის საქალებო სასწავლებლების ინსპექტორს-ქალს პარიჟის სამეცნიერო აკადემიისაგან „officier de l'Academie“-ს ხარისხი მიუღია.

— ერთს ფრინველთ ვაჭარისათვის კარუჟში, შვეიცარიაში, მოუყვანიათ სავოიდგან საკვირველი ვარია, რომელსაც სამი ფეხი ება და წინა სხეული ისეთი ჰქონდა, თითქო ორ ნაწილად აქვს გაყოფილიო. ეს საკვირველი ვარია სამედიცინო სასწავლებლის პროფესორებისათვის გაუგზავნიათ.

— გერმანიის უნივერსიტეტები წლეულს დღესასწაულობენ 200 წლისთავს მას შემდეგ, რაც პირველად გერმანულს ენაზედ ლექცია იქმნა წაკითხული ტომაზიუსის მიერ ლეიპციგის უნივერსიტეტში.

— ეხლანდელს მეფეს ზულუსებისას, დინიზულას, განთქმულის კეტჩევაიოს შვილს, დაუარსებია ახალი ორდენი, რომელსაც „ნიანგის ორდენი“ ჰქვიან. ეს ორდენი ორ-ხარისხოვანია და სამ

ფერ ლენტზედ უნდა ატარონ: ყვითელსა, მწვანესა და წითელზედ. დინიზულს ეს ორდენი ორის გერმანელისათვის უწყალობებია: ავრიკელ მოგზაურის ეინვალდისათვის პირველის ხარისხისა და ერთის ლეიპციგელ წიგნის ვაჭრისათვის —მეორე ხარისხისა.

— დაუპატიჟებელი და უზრდელი სტუმარი. რიგმისში, ინგლისშია, ცირკიდგან ამას წინად აშვებულა სპილო და იქვე მეზობლისას შესულა. სამზარეულოს კიდობანი გაუღია, 12 ქილა ყველე უჭამია, ერთი თავი ახალი ქოროვა ხახვი, ქლიავი, ერთი ნაჭერი ხორცი, ერთი თავი შაქარი და რამდენიმე კუპატი. შემდეგ სხვა ნივთებისათვის უხლია ხელი, მაგრამ საჭმელი რომ ვერაფერი უპოვნია, თავი დაუნებებია. ორი საათი უსეირნია და უთამაშნია ასე, ვიდრე არ უნახავთ და ცირკამდე არ მიუცილებიათ ეს ახირებული სტუმარი.

— ტელეფონის მსხვერპლი. ერთს სავაჭრო სახლის კანტორიდგან ტელეფონთან დაუძახნიათ მომუშავე რიღაცის საკითხველად. დიდხანს უცდია ეური მომუშავეს ტელეფონისათვის, ვერა გაუგია-რა და დაუძახნია: „აი ეშმაკმა წაგიღოს ვიღაცა მელაპარაკები, არა მესმის-რა". უეცრად კანტორიდგან კაცი მისულა სავაჭრო სახლში, რომ ის მუშაკაცი უნდა დაითხოვოთ, რომელსაც ამას წინად ტელეფონით შეუგინებია სავაჭრო სახლის პატრონისათვისაო. თითონ სავაჭრო სახლის პატრონი ელაპარაკებოდა თურმე მუშას ტელეფონით.

# დეპეშა

28 სექტემბერი

ლონდონი. ლაუსტფუტში ორს სოციალისტს უნდოდათ სიტყვა წარმოეთქვათ, მაგრამ ხალხი წინააღმდეგი შეიქნა და გალახა იგინი; სოციალისტები პოლიციამ წაიყვანა ლაუსტფუტიდამ.

სოფია. ცანკოვი აირჩიეს დეპუტატად რახოვში. აღმოსავლეთ-რუმელიაში უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა მმართებლობის მომხრე დასისანი არიან.

ლეიპციგი. სასამართლომ 15 წლით ციხე გადაუწყვიტა ანარქიელს ნევეს, იმიტომ-რომ ეპირებოდა დალატის ჩადენას, ხმარობდა ასაფეთქებელს ნივთიერებასა და ავრცელებდა აღკრძალულს თხზულებათა.

29 სექტემბერი

სოფია. ბევრს ადგილებში არჩევანები ვერ მოხდა, რადგან მოპირისპირე დასი დიდს მანიფესტაციასა ხმარობდა არჩევნების ხრიკებისა და მმართებლობის ძალდატანების წინააღმდეგ. პლევნასა, რახოვიცკსა და კუტლოვიცში რამდენჯერმე შეტაკება მოხდა და სისხლიც დაიღვარა; ბევრია მოკლული და დაჭრილი; დაჭრილია აგრეთვე რახოვიცკის პრეფექტის თანაშემწე. მანიფესტაციის დამორჩილება მხოლოდ იმ ჯარებით შეიძლეს, რომელნიც ყველგან ტყვიაწამალსა ჰხმარობენ.

ლეიპციგი. ანარქიელს ნევეს საქმეზედ დადგენილი განაჩენი ამბობს სხვათა შორის: ნევე ავრცელებდა ისეთს თხზულებათ, რო-

მელშიაც ჰქადაგებდა, რომ თუ ვინიცობაა ევროპაში ბრძოლა მოხდა, ყველანი ავიმაღლნეთ და არეულობა მოვახდინოთო.

პეტერბურგის ბირჟა, 25-ს სექტემბერს

ფასები:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 8 90 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | $271\frac{1}{2}$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | $249\frac{1}{4}$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — › | $99\frac{1}{2}$ | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | $99\frac{1}{2}$ | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | $83\frac{3}{4}$ | — › |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—ოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

30 დღე ოთხშაბათი. წმ. გრიგოლ განმანათლებელისა სომეხთა და წმ. ქალწ.-მოწ. რიფსიმიან გაიანიანთი. კათოლ. წმ. ალმსარ. გერონიმესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—9, ჩადის 5—24. მთვარე 26 დღისაა.

ოქტომბერი 31 დღით არის

1 დღე ხუთშაბათი. წმ. ღვთის-მშობლის საფარველისა და წმ. მოციქ. ანანიასი. დღესასწაული უფლის კვართისა. კათ. წმ. ეპ. რემიგიასი. სომეხ. წმ. თავადთა სააკასა და ჰამაზასპისა. მუსულმ. მე-26 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსდა ტფილისში სასულიერო სემინარია, 1817 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22. მთვარე 27 დღისაა.

2 დღე პარასკევი. მოწ. კიპრიანესი, ქალწ.-მოწ, იუსტინასი, წმ. დავითისა და კონსტანტინესი. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წვალებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—11, ჩადის 5—21. მთვარე 28 დღისაა.

3 დღე შაბათი. წმ. დიონოს არეოპაგელისა და ღირსის იოანე ხოზეველისა. სომეხ. წმ. 72 მოწაფეთა ქრისტესი. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18. მთვარე 29 დღისაა.

4 დღე კვირა. მოწ. იეროტეოსი. კათოლ. დღესასწაული წმ. როზარიასი, წმ. ქალწულის მარიამისა და წმ. ალმს. ფრანცისკესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17. მთვარე 30 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. ქალწ.-მოწ. ხარიტონისა, ღირსისა გრიგოლ ხანძელისა. კათოლ. ღვთის მსახურება ყველა ანგელოზებისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. მუსულ. მე-30 რიცხვი თვის მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 5—16. დაბადება მთვარისა 1 საათსა და 39 წუთზედ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | › |
| › 2 › | $2\frac{1}{2}$ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3\frac{1}{2}$ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, სადამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აქ არა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | | სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საათ. | წამი. | საათ. | წამი. | | საათ. | წამი. | საათ. | წამი. |
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხნუპარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 51 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული, ჯულელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯულელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . | › | 30 |

ახლად შექმნილია და იყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცახელისა. . . . . | „ | 20 |

Доз. цен. Тиф. 29 сентября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) на Гол. Проспектѣ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე